



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ. ოზურგეთი

N 2  
25/01/2017

2-03-4-201701251840



დადგენილება №2  
25 იანვარი 2017 წელი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების  
გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 16-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ


**და ა დ გ ი ნ ა :**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი, დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის N2 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 08/02/2016 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.171.016107).

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა